გოლიათის ხიდი

გოლიათის ხიდი – შენი აზრით, რატომ უნდა დაერქვათ ხიდისთვის ასეთი სახელი? წაიკითხე ტექსტი და შეამონმე შენი ვარაუდი.

გოლიათის ხიდი ჩრდილოეთ ირლანდიაშია. იგი უამრავი ქვისგან შექმნილი 40 ათასამდე სვეტია. სვეტები კლდის ძირიდან ეშვება ატლანტის ოკეანის სანაპირომდე. ყოველ ქვას ექვსი კუთხე აქვს. ერთი ფორმისა და ზომის ეს ქვები ადამიანის მიერ დაწყობილი გეგონება. თუმცა ასე არაა. 60 მილიონი წლის წინ ამ ადგილას ბაზალტის ლავამ ამოხეთქა. ოკეანის წყალმა ის უცებ გააცივა. ლავა გაქვავდა და დაიბზარა. ასე გაჩნდა 12 მ სიმაღლის სვეტები.

ხიდის შესახებ რამდენიმე ლეგენდა არსებობს. ერთ-ერთი მათგანი გოლიათ ფინ მაკ ქულის უკავშირდება. ლეგენდის მიხედვით, ის ირლანდიაში ცხოვრობდა. მან შოტლანდიაში გადასვლა და ბოროტი გოლიათის დამარცხება მოინდომა. მაგრამ ცურვა არ იცოდა. ამიტომ დიდი ლოდებით ხიდი ააგო სრუტეზე. აქედან მოდის ხიდის სახელიც.

არსებობს ლეგენდის მეორე **ვერსიაც**. როცა ფინმა ხიდის აგება დაასრულა, ცოტა ხნით წაიძინა. ამით **ისარგებლა** ბოროტმა გოლიათმა. იგი თვითონ გადავიდა ხიდზე. ფინის ცოლმა კი ხერხს მიმართა. ქმარი საბანში გაახვია და მტერს მკაცრად უთხრა: ჩუმად, ბავშვი არ გამიღვიძოო! ამის გამგონე გოლიათი **დაფრთხა**: ბავშვი თუ ამხელა არის, მამა ხომ **ბუმბერაზი** იქნებაო. შეშინებული უკანვე გაიქცა და თან ხიდიც დააზიანა. ასე ხსნის ლეგენდა ხიდის აგების ისტორიას.

გოლიათის ხიდის ტერიტორია ამჟამად ნაკრძალია. მსგავსი ლოდები მსოფლიოს სხვა ადგილებშიც არის, მაგრამ გოლიათის ხიდი ყველაზე ლამაზია.

ტექსტი მომზადებულია „მსოფლიოს საოცრებებიდან“. ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა.

ლეგენდის მიხედვით, რით განსხვავდება ორი გოლიათი ერთმანეთისაგან?

კომპონენტი: ფაქტი და მოსაზრებები, **დონე:** 3.2

LIVEWORKSHEETS

▶▶▶ ტექსტის გაგება

ყოველ შეკითხვას შეურჩიე თითო სწორი პასუხი.

1 ტექსტში გამოთქმულია მოსაზრება:

ა) გოლიათის სახელის შესახებ.

ბ) ხიდის ადგილმდებარეობის შესახებ.

გ) ხიდის სახელწოდების შესახებ.

2 რომელი წინადადება გადმოსცემს მოსაზრებას?

ა) გოლიათს ალბათ ეგონა, საბანში მართლა მძინარე ბავშვი იყო გახვეული.

ბ) გოლიათის ხიდი ამჟამად ნაკრძალია და ულამაზესია მსოფლიოში.

გ) 60 მილიონი წლის წინ ირლანდიაში ბაზალტის ლავამ ამოხეთქა.

3 რომელი წინადადება გადმოსცემს ფაქტს?

ა) ვარაუდობენ, რომ სვეტების რაოდენობა 40 ათასამდეა.

ბ) როგორც დადგინდა, სვეტები ვულკანის შედეგად გაჩნდა.

გ) ფიქრობდნენ, რომ სვეტები შესაძლებელია ადამიანმა ააგო.

4 გოლიათის ხიდს ეს სახელი იმიტომ დაერქვა, რომ:

ა) იგი ყველაზე დიდია მსგავს ხიდებს შორის.

ბ) ლეგენდის მიხედვით, იგი გოლიათმა ააგო.

გ) იგი უზარმაზარი ქვებისაგან არის აგებული.

5 რის შესახებ *არ არის* საუბარი ტექსტში?

ა) რა მიზანი ჰქოდა გოლიათ ფინს.

ბ) რის გამო დაფრთხა ბოროტი გოლიათი.

გ) როდის აღმოაჩინეს გოლიათის ხიდი.

LIVEWORKSHEETS

▶▶▶ ლექსიკა

1 გაარკვიე ხაზგასმული სიტყვების მნიშვნელობები.

1. ცნობილია ლეგენდის რამდენიმე **ვერსია**.

   ა) დასასრული. ბ) დეტალი. გ) ვარიანტი.

2. ამით **ისარგებლა** ბოროტმა გალიათმა. აქ **ისარგებლა** ნიშნავს:

   ა) გამარჯვება მოიპოვა. ბ) დრო იხელთა. გ) სწორად მოიქცა.

3. გოლიათი **დაფრთხა**.

   ა) გაბრაზდა. ბ) გაოცდა. გ) შეშინდა.

4. გოლიათის მამა **ბუმბერაზი** იქნება.

   ა) გაბედული. ბ) ვეებერთელა. ბ) უძლიერესი.

2 თითოეულ განმარტებას ქვემოთ მოცემული მარაგიდან შეურჩიე შესაბამისი სიტყვა. გაითვალისწინე 2 სიტყვა ზედმეტია.

განმარტებები:

1. ადგილს, რომელიც გამოყოფილია იშვიათი ცხოველებისა და მცენარეების დასაცავად და მოსაშენებლად, ჰქვია ----------.
2. ვულკანის დროს დედამიწის წიაღიდან ამოსული გამდნარი მასა არის ----------.
3. მაღალი, ვიწრო ნაგებობა არის ----------.

სიტყვების მარაგი:

თავშესაფარი.	**კოშკი.**	**ლავა.**	**ნაკრძალი.**	**სითხე.**

3 რომელია საპირიპირო მნიშვნელობის სიტყვები (ანტონიმები)?

ა) ააგო – ააშენა. გ) დაასრულა – დაიწყო. დ) მოინდომა – მოისურვა.

▶▶▶ გრამატიკა

1 სწორად დაწერე ფრჩხილებში ჩასმული სიტყვები.

1. ლეგენდის ერთი *(ვერსია)* ---------- მიხედვით, ხიდი ფინმა ააგო.
2. ხიდის *აგების (ისტორია)* ---------- შესახებ ლეგენდები არსებობს.

LIVEWORKSHEETS

გრამატიკა

2 სწორად შეარჩიე გამოტოვებული სიტყვები.

1. ხიდი ექვსკუთხა ---------- შექმნილი სვეტებია. *(ქვებისგან / ქვებიდან)*
2. სვეტები კლდის ---------- ეშვება. *(ძირიდან / ძირისგან)*

3 იპოვე შეცდომები და აღნიშნე X-ით.

	[X] *თითონ.*	[ ] *თვითონ.*
1.	[ ] ჩუმათ.	[ ] ჩუმად.
2.	[ ] ჰქვია.	[ ] ქვია.

4 დაწერე მრავლობით რიცხვში.

1. სრუტე – ---------- .
2. კუთხე – ---------- .

წერა

1 ლეგენდაში გადმოცემული ფაქტების მიხედვით დაახასიათე გოლიათები.

ირლანდიელი გოლიათი	შოტლანდიელი გოლიათი
----------	----------
----------	----------
----------	----------

2 გაიხსენე შენი კუთხის ერთ-ერთი საინტერესო ადგილი. გაიხსენე ან მოიფიქრე და დაწერე ლეგენდა მისი შექმნის შესახებ. შენი ნამუშევარი გააფორმე ნახატით.

LIVEWORKSHEETS